გახსენება:

კაცი — სანთელი

ნუგზარ სანთელაძის

დაბადებიდან 80 წლისთავის გამო

იშვიათია, კაცი რომელიც სანთელივით იწვოდეს და იმავდროულად თავის გვარს ამართლებდეს. ამასთან დაკავშირებით ქართველებს გვაქვს ერთ-ერთი საუკეთესო ანდაზა: ,,კვიცი გვარზე ხტისო''. ბატონი ნუგზარის გვარის მიმცემი წინაპრისთვის, როგორც ჩანს, მეზობლებს და ახლობლებს, მეტსახელად სანთელა ტყუილად არ შეურქმევიათ.

„რაც არ იწვის, არ ანათებსო''– გვმოძღვრავს ქართველი პოეტი.

ბატონი ნუგზარი იმის ნიმუში იყო, როგორ უნდა ვიცხოვროთ ამ ქვეყნად, ვიღვაწოთ და სანთელივით ვუნათებდეთ გზას სტუდენტობას – ახალგაზრდა თაობებს.

კარგად მახსოვს გაჭირვების ის დღეები, როდესაც ქალაქ გორში, პროფესორ ზაურ თეთრუაშვილის უნივერსიტეტში ერთად ვმუშაობდით და ლექციებს ვკითხულობდით, როცა ქვეყანაში თავაშვებული, ზღვარსგადასული და გავეშებული ,,მხედრიონი'' ბობოქრობდა.

ნათქვამია, უშეცდომო კაცი არ არსებობსო. არც ბატონი ნუგზარ სანთელაძე იყო გამონაკლისი. შეცდომა მასაც მოსვლია, მაგრამ მისი გამოსწორებაც იცოდა და ბოდიშის მოხდაც. მე თავად ვარ მოწამე და მოწმე ამისა, როდესაც მან პროფ. ალექსანდრე კუჭუხიძეს ბოდიში მოუხადა იმ შეცდომის გამო, რომ მხარი არ დაუჭირა მას, როგორც კოლეგას, როცა საქმე მის შვილს ეხებოდა...

ნუგზარს ძალიან უყვარდა თავისი ოჯახი – მეუღლე და ქალიშვილები. ამაშიც კი სანიმუშო იყო. როდესაც უფროსი ქალიშვილი გაათხოვა და შვილიშვილიც შეეძინა, როგორც მამა და ბაბუა, უზომოდ გახარებული იყო, მისმა მეუღლემ, როდესაც გარდაეცვალა, დაქვრივება ვერ გადაიტანა – უმისოდ ამ ქვეყანაზე დიდხანს ვერ გაძლო და წავიდა ამ ქვეყნიდან...

ბატონი ნუგზარი სხვებისგან იმითაც გამოირჩეოდა, რომ ერთი შეხედვით, გარეგნულად, იერით, ჰაბიტუსით... გულჩახვეული, უკარება, უემოციო ჩანდა, მაგრამ ვინც კი ახლოს გაიცნობდა, მასში სულ სხვანაირ ნუგზარს დაინახვდა თავისი გულთბილობით, მომთხოვნელობით, უშურველობით, სისპეტაკით, სიალალით.

ბატონი ნუგზარი გამორჩეული ეკონომისტი იყო. ნიჭიერს კალამიც უჭრიდა და სიტყვაც.

სტუდენტის ცოდნის შეფასებაშიც გამორჩეული იყო. იგი არ დაუჭერდა მხარს ისეთ დისერტანტს, რომელიც კოლეგათა თვალში საქციელით და სწავლით უღირსად მოჩანდა. და თუ ვინმე მოეწონებოდა, სიხარულს და მოწონებას ასე გამოხატავდა: თავის კაბინეტში მიიწვევდა, რეპეტიციებს ჩაუტარებდა, დაცვისათვის შეამზადებდა. სანიმუშოდ მაგონდება ქალბატონ ლუარა გვაჯაიასა და თამარ ბარათაშვილის (ჩემი ძმისშვილის) სადისერტაციო დაცვები. ვინც კი ამ დაცვებს შესწრებია, უმალ დამეთანხმება, რასაც ვგულისხმობ და რისი თქმაც მინდა: სიმკაცრე მაშინ არის კარგი, როცა მომთხოვნი და სამართლიანი ხარ. სწორედ ასეთი პიროვნება, კოლეგა, მეგობარი, ლექტორი ბრძანდებოდა ბატონი ნუგზარი, რომელიც რამდენიმე წელია დაკარგა სრულიად საქართველოს ინტელიგენციამ, ეკონომისტთა საზოგადოებამ.

ასეთია წუთისოფელი: კაცი დააკლდა სამეგობროს, სამეზობლოს, ოჯახს, სოფელსა თუ ქალაქს.

როგორც დიდი ქართველი პოეტი იტყოდა: ,,ყველას რაიმე გვაქვს სახსოვარი".

სახსოვარს და მოსაგონარს რა გამოგვილევს...

2015 წლის 1 თებერვალს პროფ. ნუგზარ სანთელაძეს დაბადებიდან 80 წელი უსრულდება.

ღმერთმა გაანათლოს მისი სული ზეციერ საქართველოში.

მეგობრული მონატრებით,

ევგენი ბარათაშვილი.

14. 01. 2015